ალპინიზმი

კლასი VI

ტექსტის ტიპი – საინფორმაციო-შემეცნებითი

კრებულში შეტანილია **ნინო ბარძიმიშვილის**, **მაგდა აბესაძის**, **ლაშა გოდუაძისა** და **გელა ოთარაშვილის** ტექსტები.

ეს მასალა შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მასალა მომზადებულია USAID საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი რესურსების საფუძველზე.

ალპინიზმი

ნინო ბარძიმიშვილი

როგორ ავიდა ადამიანი მთაზე?

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ,
თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.
ვაჟა-ფშაველა

ადრე, არცთუ დიდი ხნის წინათ, ადამიანები მთებზე მხოლოდ მაშინ ადიოდნენ, როდესაც ამის აუცილებლობა დაუდგებოდათ: ან ნადირობისას ან დაკარგული საქონლის ძებნაში, ან ომის დროს, მტერს ზემოდან რომ დასცემოდნენ. ამ დროს რაც შეიძლება მოკლე და იოლ გზას ირჩევდნენ ხოლმე. ძალიან მაღალ და მიუდგომელ მთებს კი განსაკუთრებულ სახელებს არქმევდნენ. ისიც იცოდნენ, რომ იქ ცხოვრობდნენ ადამიანებზე უფრო ძლიერი არსებები, რომელთა შეწუხება არ ღირდა... ზღაპრებს ჰყვებოდნენ და სიმღერებს თხზავდნენ მონადირეებზე, ვინც, მთაზე შეხეტებული, ამ არსებებს გადაჰყროდა.

ორას ბენედიქტ დე სოსიური

დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაშინაც იყვნენ ისეთი ადამიანები, თვალი და მუხლი რომ უჭრიდათ, გული კი მწვერვალებისკენ გაუწევდათ ხოლმე. მოისურვებდნენ ასულიყვნენ ყველაზე მაღლა, სადაც ფეხი არავის დაედგა, შეხვედროდნენ იქ მცხოვრებ იდუმალ არსებებს და დამშვიდობებოდნენ საკუთარ სისუსტეებს.

დანამდვილებით კი ის ვიცით, რომ მეთვრამეტე საუკუნეში ცხოვრობდა ერთი ასეთი კაცი სახელად **ორას ბენედიქტ დე სოსიური**, ჟენეველი არისტოკრატი, ვისაც ბუნების საიდუმლოებების შესწავლის ჟინი დაჰყვა. თავდაპირველად იგი მცენარეების კვლევის სურვილმა შეიტყუა **ალპებში**, ევროპის ამ უმაღლეს მთათა სისტემაში. შემდეგ კი, მთების იდუმალ ძალას ზიარებული, უკვე რეგიონის გეოლოგიით, მყინვარების შესწავლით, მეტეოროლოგიით დაინტერესდა. თანდათან მთაში სიარულში გაიწაფა და ალპების უმაღლეს მწვერვალ **მონბლანზე** („თეთრი მთა“) ასვლა ჩაიდო გულში. სურდა, იქ ბარომეტრი აეტანა და ატმოსფერული წნევა გაეზომა, „მეცნიერული თვალით“ დაეხედა ევროპისთვის მაღლიდან და... იქნებ მწვერვალთან შერკინების, ბოლომდე მისვლის სურვილიც გაუჩნდა?

ერთი კია: ის არა მხოლოდ თავად ცდილობდა მწვერვალზე ასვლას, სხვებიც წააქეზა საამისოდ და პირველი

ამსვლელისთვის ჯილდოც კი დააწესა.

მონბლანის ძირას გაშენებულ სოფელ **შამონიში** ცხოვრობდა **მიშელ-გაბრიელ პაკარი**. იგი ექიმი იყო, მაგრამ სოსიურის წადილს მხარი აუბა და ზედიზედ რამდენჯერმე შეეცადა მონბლანზე ასვლას. პირველი მცდელობისას, 1783 წელს, 26 წლის იყო. მომდევნო წლებშიც რამდენჯერმე უშედეგოდ შეუტია მთას. ბოლოს, 1786 წლის 8 აგვისტოს, 29 წლის მიშელმა და მისმა მეწყვილემ **ჟაკ ბალმამ** ფეხი შედგეს მონბლანის მწვერვალზე. ეს დღე ითვლება ალპინიზმის, როგორც სპორტის სახეობის, დაბადების დღედ.

უნდა ითქვას, რომ მათ შემდეგ ერთ წელიწადში სოსიურიც ავიდა მწვერვალზე. დღეს მონბლანი რთულ ასასვლელ მთად არ ითვლება.

მაგრამ მაშინ, ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინ, ეს ბევრად უფრო ძნელად გასაბედი და შესასრულებელი ამოცანა იყო. არ არსებობდა ალპინისტური აღჭურვილობა, სათანადო ფეხსაცმელი თუ ტანსაცმელი. მონბლანზე პირველი ამსვლელები თან მძიმე სამეცნიერო ხელსაწყოებს მიეზიდებოდნენ და საგანგებო თოკების, პალოების, წერაყინების, ყინულის ბურღებისა და სხვა მოსახერხებელი და საიმედო აღჭურვილობის

ორას ბენედიქტ დე სოსიურის და მიშელ-გაბრიელ პაკარის ძეგლი სოფელ შამონიში

ნაცვლად მხოლოდ რკინისწვეტიანი გრძელი ჯოხების იმედად იყვნენ.

ამ ასვლით მონბლანის ძირას გაშენებული დასახლების, შამონის, ახალი ცხოვრებაც დაიწყო. სოსიურის სტუმრობამდე აქაურები ჩვეულებრივი ევროპული სოფლისთვის შესაფერის საქმიანობას ეწეოდნენ. მათი განსაკუთრებულობა მხოლოდ ის იყო, რომ ჟენევის გრაფისგან ბოძებული ჰქონდათ უფლება, ბაზრობა წელიწადში ერთხელ კი არა, ორჯერ გაემართათ. მონბლანის დაპყრობის შემდეგ კი შამონიში სულ უფრო ხშირად ჩადიოდნენ მამაცი ადამიანები, მთაზე ასვლა რომ სურდათ. მათ კი გამცილებლები სჭირდებოდათ. ამიტომ 1821 წელს, პირველასვლიდან 35 წლის მერე (რაც დასახლების ისტორიისთვის საკმაოდ მოკლე დროა), შამონიში გამყოლთა (გიდების) საზოგადოება ჩამოყალიბდა. დღეს იქ გიდების მოსამზადებელი საუკეთესო კურსები ფუნქციონირებს და შამონის გიდის დიპლომი მხოლოდ საიმედო, ძლიერმა გამყოლმა შეიძლება მოიპოვოს. ჩვეუ-

ლებრივი სასოფლო სამუშაოები დავიწყებას მიეცა, შამონიელებმა ადრეულ ტურისტულ ბიზნესს მიჰყვეს ხელი. დღეს ამ დასახლებაში (რომელიც 16 სოფელს მოიცავს) იკრიბებიან თითქმის ყველა ექსტრემალური სპორტის სახეობის მოყვარულები: მოთხილამურეები, ყინულსა თუ კლდეზე მცოცავები, მთის ველოსიპედებით სიარულის, პარაგლიდინგის, რაფტინგის მოყვარულები... **„სასიკვდილო სპორტის სახეობათა მსოფლიო დედაქალაქი“** – ეს შამონის საპატიო ტიტულია.

დიახ, მთამსვლელობა სპორტის ძალიან სახიფათო სახეობაა. მონბლანი ერთი არცთუ მაღალი და არცთუ საშიში მთაა მსოფლიოს სხვა მთათა შორის. მთამსვლელობა არ არის მხოლოდ საგმირო ამბები იმაზე, თუ როგორ დგება ადამიანი ბუნების ძალების პირისპირ და როგორ აღწევს მიზანს. ამ ამბებში ბევრი ტკივილი, სიცივე, დამარცხება და სიკვდილიცაა. როგორც ერთმა ნამდვილმა მთამსვლელმა თქვა: „მთები არ

არიან კეთილები ან ბოროტები. ისინი, უბრალოდ, სახიფათოები არიან“.

მაგრამ ადამიანები მაინც მიდიან მთაზე ასასვლელად. საღი აზრის საპირისპიროდ, ირჩევენ უფრო რთულ გზებს, უფრო სახიფათო ამინდებს. თუმცა, მართალია, ასეთები ცოტანი არიან (მათ გაოცებით ეკითხებიან: „რა გინდა მთაში“?). ამ ცოტა ალპინისტს შორის კიდევ უფრო ნაკლებია ისეთი, ვისაც წიგნების წერა შეუძლია. მაგრამ ასეთებიც არიან და წერენ ხოლმე მთასთან მიახლების ამბებს. პასუხს სცემენ მარადიულ კითხვას სხვადასხვა მთიდან სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა სიტყვებით... და მათი საბოლოო პასუხი ბოლოს და ბოლოს ესაა: მთაზე უკეთესი ადგილი ამქვეყნად მხოლოდ სხვა მთა შეიძლება იყოს!

მაგდა აბესაძე

ალპინიზმი

მთამსვლელობა – ეს არის დაუღალავი ძიება. მიდიხარ, მიიწევ წინ, თუმცა მიზანს ვერ აღწევ. სწორედ ეს არის ამ ყველაფრის განსაკუთრებული ხიბლი – გამუდმებული ძიება იმის, რაც ვერასდროს იქნება მიღწეული.

ჰერმან ბული
გამოჩენილი ავსტრიელი ალპინისტი

ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ სიმაღლეების დაპყრობის სურვილი. ისინი მუდამ ცდილობდნენ ესწავლათ დაბრკოლების გადალახვა. მთებისა და მწვერვალების დალაშქვრაც ზოგჯერ სპორტული ჟინი იყო, ზოგჯერ კი – სამხედრო თუ სამეურნეო აუცილებლობა. დღეს ამისთვის ვერტმფრენები, თვითმფრინავები, მძლავრი ავტომანქანები გამოიყენება. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი უარს ამბობს სატრანსპორტო საშუალებებზე და ფეხით ეშურება მწვერვალების დალაშქვრას. ესენი **ალპინისტები** არიან.

ალპინიზმის სათავე უძველეს დროშია საძიებელი. ისტორიამ შემოგვინახა ცნობები ჯერ კიდევ შორეულ წარსულში მიუდგომელ მწვერვალებზე განხორციელებული ასვლების შესახებ. ცნობილია, რომ ძვ. წ. 130 წელს რომის იმპერატორი **ადრიანე** ფეხით ასულა **ეტ-**

ნაზე (3263 მ). სკანდინავიური ქრონიკების თანახმად, ნორვეგიის მეფე **ოლაფ ტრუგვესონი** (X ს.) **სმალსე-ჰორნის** კლდოვან ქიმზე აცოცებულა. 1336 წელს გამოჩენილი იტალიელი პოეტი **ფრანჩესკო პეტრარკა**, რომელსაც ზოგიერთი ალპინიზმის მამამთავრადაც კი მიიჩნევს, ალპების მწვერვალ **მონვენტუქსზე** (1920 მ.) ასულა.

ალპინიზმი, იგივე მთამსვლელობა, როგორც სპორტის სახეობა, ალპების მთებში, ევროპის უმაღლეს მთათა სისტემაში დაიბადა. მას საფუძველი ჩაეყარა 1786 წელს, როცა სპორტული ჟინით შეპყრობილმა ფრანგმა ექიმმა **მიშელ პაკარმა** შვეიცარიელ გამყოლთან ერთად ალპების უმაღლესი მწვერვალი **მონბლანი** დაიპყრო. XX საუკუნეში ალპები უკვე მთამსვლელობის ცენტრად გადაიქცა, რასაც ამ მთაგრეხილის გეოგრაფიულმა მდებარეობამ შეუწყო ხელი. ალპებში თანდათანობით აშენდა სასტუმროები და ღამის გასათევი სახლები. სხვადასხვა ქვეყანაში ალპინისტური კლუბების შექმნამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი სპორტის ამ სახეობის განვითარებას. 1809 წელს ალპების უმაღლეს მწვერვალზე პირველი ქალი, **მარი პარადიზი**, ავიდა.

1907 წელს, მას შემდეგ, რაც ინგლისელმა **ტომ ლონგ-სტაფმა ჰიმალაების** მწვერვალი **ტრისული** დაიპყრო, საფუძველი ჩაეყარა **მაღლივ ალპინიზმს**, ანუ 6000 მეტრზე მაღალი მწვერვალის დალაშქვრას. მეოცე საუკუნის ბოლოსთვის ალპების ყველა მწვერვალი უკვე დაპყრობილი იყო, ამიტომ მთამსვლელები უმეტესად **ანდების**, შემდეგ კი ჰიმალაის მთების დაულაშქრავ მწვერვალებს ეტანებოდნენ. ალპინისტთა სამიზნე დიდი ხნის განმავლობაში იყო დედამიწის ყველაზე მაღალი მწვერვალი, ჰიმალაის მთებში აზიდული **ევერესტი**, რომელსაც ტიბეტურ ენაზე **ჯომოლუნგმა** ეწოდება. ბრიტანელი ალპინისტები 1921 წლიდან ცდილობდნენ ევერესტის დაპყრობას, თუმცა ეს პირველად ახალზელანდიელმა **ედმუნდ ჰილარიმ** და ნეპალელმა **თენსინგ ნორგეიმ** შეძლეს 1953 წელს. 1975 წელს ევერესტი პირველად დაიპყრო ქალმა, იაპონელმა **იუნკო ტაბეიმ**. 1978 წელს ეს მწვერვალი ჟანგბადის აპარატის გამოუყენებლად დაიპყრო გამოჩენილმა იტალიელმა ალპინისტმა **რაინჰოლდ მესნერმა**. 1991 წლიდან მოყოლებული, ევერესტი რამდენჯერმე ქართველმა ალპინისტებმაც დალაშქრეს.

ნეპალურად ევერესტის მთას „საგარმატჰა“ ჰქვია.

ჰიმალაის მთები

კავკასიის მთები

საქართველოში მთებში სიარულს ფესვები უძველეს დროში აქვს გადგმული. დადიოდნენ სხვადასხვა მიზნით: სანადიროდ, სათევზაოდ, სამეურნეო საქმიანობისთვის და სხვ. მთაზე ასასვლელად რკინის სატეხების გამოყენება დამოწმებულია წარმართული დროის თქმულების – „მიჯაჭვული ამირანის“ – სვანურ ვარიანტში. როცა იბერიელების, კოლხებისა და ჰენიოხების საზღვრის გასწვრივ წამომართულ კავკასიონის მაღალ მთებს აღწერს, ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი **სტრაბონი** (ძვ. წ. I ს.) აღნიშნავს, რომ ეს „მწვერვალები ზამთრობით გაუვალია, მხოლოდ ზაფხულობით ადიან, ფეხებზე ამ დროს ლურსმნებით დაჭედილი, დამუშავებული ტყავი აქვთ ამოკრული. ხოლო ეს ტყავები სიფართოვით დაფისოდენაა და ამას იკეთებენ თოვლისა და ყინულის გამო“. უძველესი დროიდანვე იცნობდნენ ჩვენში მთაზე გადაადგილებისთვის საჭირო სხვადასხვა აღჭურვილობას: წრიაპს, რკინის პალოებს, წერაყინს, ქანჩს, თოკსა და ჯაჭვს, საცოცა ტყავებს, თხილამურებს.

წრიაპს სულხან-საბა ორბელიანი ჯერ კიდევ „სიტყვის კონაში“ (ქართული ლექსიკონი, რომლის შედგენა ავტორმა 1713 წელს დაასრულა. პირველად გამოიცა 1884 წელს) განმარტავს. ეს ყოფილა ტერფზე ამოსაკრავი კბილებიანი რკინა, რომ მთაზე ამსვლელს ფეხი არ აუცურდეს. წრიაპს ალპინისტები ყინულსა და გამაგრებულ თოვლზე სასიარულოდ იყენებენ.

რკინის პალოებს სხვადასხვა ადგილას არჭობენ კლდეზე, რათა ზედ თოკი დაამაგრონ. ფრიალო კლდიდან ჩამოვარდნილი ალპინისტი თოკის სიმტკიცისა და პალოს სიმყარის იმედადღა რჩება.

წერაყინს მთაზე ამსვლელები ყინულსა და თოვლზე სასიარულოდ მოიხმარენ. როგორც აღვნიშნეთ, სტრაბონი გადმოგვცემს, რომ კავკასიონის მთებზე ასასვლელად ადამიანები ფეხზე ლურსმნებდაჭედილ ტყავს ამოიცვამდნენ ხოლმე.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიული დამხმარე საშუალებებისა, დღეს ალპინისტების აუცილებელი ატრიბუტებია: კარავი, კარემატი (ძილის დროს სითბოსთვის ქვეშ დასაფენი), საგანგებო ფეხსაცმელი, საძილე

ტომარა, თბილი ტანსაცმელი, ზურგჩანთა, ფარანი, მათარა და ა.შ. ალპინისტები დიდ სიმაღლეზე ასვლისას ჟანგბადის ბალონებსაც იყენებენ.

კავკასიონის მწვერვალები სირთულით გამოირჩევა. **მყინვარწვერი**, **უშბა**, **თეთნულდი** და **შხარა** პირველად ევროპელებმა დალაშქრეს, მაგრამ მათ თან ქართველი მეგზურები ახლდნენ ხოლმე. ადგილობრივებმა იცოდნენ აქაური მთის პირობები და გზები.

სპორტული ალპინიზმის ისტორია საქართველოში ოფიციალურად 1923 წლიდან იწყება. ამ დროს საქართველოში მეცნიერული ალპინიზმის ფუძემდებლის **ალექსანდრე დიდებულიძისა** და მეცნიერისა და სპორტსმენის **გიორგი ნიკოლაძის** ხელმძღვანელობით ზედიზედ ორი ექსპედიცია მოეწყო მყინვარწვერზე. ორი წლის შემდეგ კი მთამსვლელთა ჯგუფი გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე, **იალბუზზეც**, ავიდა. ამას მოჰყვა უშბისა და სხვა მწვერვალების დალაშქვრაც. ქართველმა მთამსვლელებმა დაუდეს საფუძველი ალპინიზმის სახეობას, **ტრავერსების**, კლასს.

ალექსანდრე დიდებულიძე

გიორგი ნიკოლაძე

ტრავერსი *(ფრანგ. traverse – გადასვლა). ალპინიზმში – გადასვლა საგანგებო მარშრუტით, რომელიც გადის მთაგრეხილების თხემზე და მოიცავს რამდენიმე მწვერვალს.*

თურქესტანის ქედი

მიხეილ ხერგიანი

ქართველები არიან **პამირისა** და **ტიანშანის** მთების არაერთ მწვერვალზე პირველამსვლელებიც. ქართველ ალპინისტებს მრავალგზის აქვთ მოპოვებული ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები სხვადასხვა კლასის ჩემპიონატებში. ყველაზე ცნობილი ქართველი ალპინისტები არიან: **მიხეილ ხერგიანი** (ხერგიანის სახელი ეწოდა მწვერვალს თურქეს-

ჩემპიონატები ალპინიზმში მხოლოდ საბჭოთა კავშირში ტარდებოდა და, მრავალი ალპინისტის აზრით, ეწინააღმდეგებოდა მთამსვლელობის არსს.

ტანის ქედზე), **გურამ თიკანაძე** (მის პატივსაცემად ეწოდა სახელი ერთ-ერთ მწვერვალს აღმოსავლეთ საქარ-თველოს მთიანეთში), **შოთა მირიან-აშვილი**, **ალიოშა ჯაფარიძე** (მისი სახელი მიენიჭა საქართველოს ალ-პინისტთა კლუბს, მწვერვალებს კა-ვკასიონსა და პამირზე), **ალექსანდრა ჯაფარიძე.** ის პირველი ქართველი ქალი ალპინისტია, რომელმაც უშბასა და თეთნულდზე დადგა ფეხი. მისი სახელი მიენიჭა მწვერვალს ჭაუხების მასივში.

გურამ თიკანაძე



ალექსანდრა ჯაფარიძე

როგორც ვთქვით, ალპინიზმი საკ-მაოდ სახიფათო სპორტის სახეობაა. ალპინისტების სიცოცხლეს უამრავი რამ ემუქრება: ქარბუქი, ზვავი, ნამქერი, ქვათაცვენა... ძალიან ბევრი ალპინისტის სი-ცოცხლე დასრულდა საბედისწეროდ, მათ შორის, ქა-რთველი ალპინისტებისაც. მაგალითად, მწვერვალ უშ-ბაზე დაიღუპა ალიოშა ჯაფარიძე; 30 წლის ასაკში, შხ-არადან დაშვების დროს ტრაგიკულად დაიღუპა გურამ თიკანაძე; ტრაგიკულადვე აღესრულა **დოლომიტებში**, **სუ-ალტოზე** ასვლისას, ქვათაცვენაში მოყოლილი მიხ-ეილ ხერგიანი... ალპინისტური სპორტის დასაწყისიდან დღემდე მთაზე ასვლისა თუ იქიდან დაშვების დროს უამრავი ადამიანია დაღუპული. მიუხედავად ამისა, ალ-პინიზმის მიმდევარნი მაინც არ ეპუებიან სიძნელეებს და არასოდეს უშვებენ ხელიდან მთაში წასვლის შესა-ძლებლობას.

ლაშა გოდუაძე

რვაათასიანები: ევერესტი

„სიკვდილი ყოველ ფეხის ნაბიჯზეა ჩასაფრებული, მაგრამ როცა მწვერვალს თავზე მოვექცევი, სულ აღარ მადარდებს, რამდენი წლისა მოვკვდები. მწვერვალზე ასვლა თავისებური გამოწვევაა, მაგრამ ხელოვნება ის კი არ არის, სიკვდილი ვეძიოთ, არამედ ის, რომ ამ ორთაბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეთ!“ – ეს სიტყვები ეკუთვნის კაცს, რომელსაც 8-ათასიანებზე საუბრისას გვერდს ვერაფრით ავუქცევთ.



ევერესტი



რაინჰოლდ მესნერი

რაინჰოლდ მესნერი: ადამიანი-ლეგენდა, იტალიის სიამაყე, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მთამსვლელი, პირველი ალპინისტი, რომელმაც დედამიწის თოთხმეტივე 8-ათასიანიდან გადმოიხედა!

მესნერმა პირველად „სიკვდილის მთა“, 8125 მეტრზე აზიდული **ნანგა პარბატი** დაიმორჩილა. ეს 1970 წელს მოხდა.

ჯომოლუნგმა მის კარიერაში რიგით მეოთხე 8-ათასიანი იყო. მეწყვილე **პიტერ ჰაბელერთან** ერთად მან ჟანგბადის ბალონების გარეშე დალაშქრა მწვერვალი და გახდა პირველი, ვინც ეს შეძლო. 1980 წელს იტალიელმა კიდევ ერთი არნახული მიღწევით გააკვირვა მსოფლიო – უმაღლესი მწვერვალი ამჯერად მარტომ დაიპყრო, კვლავ ჟანგბადის ბალონების გარეშე და, რაც მთავარია, დამხმარეებსა და საჭურველის მზიდავებზეც უარი თქვა! და კიდევ: ის ევერესტზე ყველაზე რთულ დროს, მუსონების პერიოდში ავიდა!

„იმდენჯერ განმიცდია საკუთარი სიკვდილი, დარწმუნებული ვარ, მას მთებში შევხვდები“, – ესეც მესნერის სიტყვებია, რომელიც... არ ახდა. 78 წლის ლეგენდა დღეს იტალიის ჩრდილოეთით, სამხრეთ ტიროლის დაბა ფირმიანში მისსავე დაარსებულ და მისივე სახელობის მთამსვლელობის მუზეუმს კურირებს.

მთამსვლელობაზე 63 წიგნის ავტორი რაინჰოლდ მესნერი ყველა დროის საუკეთესო ალპინისტადაა აღიარებული, თუმცა თავად მიაჩნია, რომ უძლიერესი ყაზახი **ანატოლი ბუკრეევი** იყო.

მესნერისგან განსხვავებით, ბუკრეევმა სიცოცხლე მთაში დაასრულა – 11 უმაღლესი მწვერვალის დამლაშქრავი ბუკრეევი თავის მეთორმეტე 8-ათასიანს, **ანაპურნას** უტევდა, მაგრამ საბაზო ბანაკში დაშვებული ზვავში მოყვა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მასთან ერთად დაიღუპა მისი მეგობარი **დიმიტრი სობოლევი**, იტალიელი **სიმონე მორო** კი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. ეს ტრაგედია 1997 წლის 25 დეკემბერს მოხდა. წლინახევრით ადრე, 1996 წლის მაისში კი, ანატოლი ბუკრეევი სამუდამოდ ჩაეწერა ევერესტის ისტორიაში...

ხიფათში ჩავარდნილ მთამსვლელებს 3 დაუწერელი კანონი აქვთ: 1. ავარიისას, პირველ რიგში, თავს უშველე; 2. თუ შეგიძლია, სხვაც გადაარჩინე; 3. არჩევანის შემთხვევაში დაეხმარე მას, ვისაც გადარჩენის მეტი შანსი აქვს. მაშინ, 1996 წლის მაისში, ევერესტის დალაშქვრის

ისტორიაში ერთ დღეში ყველაზე მეტი, 8 ადამიანი დაიღუპა, თუმცა რომ არა ბუკრეევი, მსხვერპლი უფრო დიდი იქნებოდა.

ანატოლი ბუკრეევი

ტრაგედია მწვერვალის დაპყრობის შემდეგ დატრიალდა, როცა ორი კომერციული ექსპედიციის წევრები ყველაზე ზემოთ, თითქმის 8600 მეტრზე მოწყობილ საიერიშო ბანაკში ეშვებოდნენ. ისინი ქარიშხალში მოყვნენ და ნაბიჯს ვერ დგამდნენ. ბუკრეევმა კი, ვინც იმ დროისთვის უკვე ბანაკში იყო, ზემოხსენებული დაუწერელი კანონები არად ჩააგდო და „სიკვდილის ზონაში“ მოხვედრილთა დასახმარებლად გაეშურა. რამდენიმე საათის განმავლობაში, ლამის 40-გრადუსიან ყინვაში, დღისით თუ ღამით, განსაცდელში ჩავარდნილთ მან სამჯერ აუტანა ჟანგბადის ბალონები. **სენდი ჰილ პიტმანი**, **შარლოტა ფოქსი** და **ტიმ მადსენი** კი ბანაკში ჩაიყვანა და გადაარჩინა.



მცირე ხნის შემდეგ ერთ-ერთი ექსპედიციის წევრმა, ამერიკელმა ჟურნალისტმა **ჯონ კრაკაუერმა** თავის წიგნში ბუკრეევი დაადანაშაულა, აქაოდა, კლიენტებზე ადრე დაეშვა საიერიშო ბანაკში, განსაცდელში ჩავარდნილთა დასახმარებლად ამოსულმა კი მხოლოდ თავისი გუნდის წევრებზე იზრუნაო. ბუკრეევი მეორე ექსპედიციის – „მთის სიგიჟის“ – გიდი გახლდათ, პიტმანი, ფოქსი და მადსენი მისი გუნდის წევრები იყვნენ.

„ანატოლი ბუკრეევის საქციელს ალპინიზმის ისტორიაში ანალოგი არ გააჩნია. კაცმა, ვისაც „ჰიმალაის ვეფხვს“ უწოდებენ, მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე უჟანგბადოდ ასვლის შემდეგ რამდენიმე საათში, ყოველგვარი დახმარების გარეშე შეძლო ალპინისტების გადარჩენა... იმის თქმა, რომ ბუკრეევს გაუმართლა, ნიშნავს საერთოდ არ დააფასო ის, რაც მან გააკეთა. ეს ნამდვილი გმირობა იყო!“ – წერდა გაზეთ **„უოლ სტრიტ ჯორნალის“** ჟურნალისტი **გალენ როუელი**, რომელიც კრაკაუერის ბრალდებებს ვრცელი სტატიით გამოეხმაურა.

1997 წლის ნოემბერში ამერიკაში შედგა პრეზენტაცია ანატოლი ბუკრეევის წიგნისა – **„ასვლა“**, რომელშიც ეს ტრაგედია დაწვრილებით იყო განხილული. იმავე წლის 6 დეკემბერს ამერიკის ალპურმა კლუბმა ყაზახ მთამსვლელს მიანიჭა **დევიდ სოულსის სახელობის პრემია**, რომელიც მათ გადაეცემათ, ვინც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად სხვების გადარჩენას ახერხებს. ორი დღის შემდეგ ბუკრეევი უკვე

ნეპალში იყო, ანაპურნას დასალაშქრად ემზადებოდა. 25 დეკემბერს, დაახლოებით, 6100 მეტრზე ზვავი მოწყდა და ანაპურნამაც არავის დაანება „ჰიმალაის ვეფხვი“...

* * *

1991 წლის 10 ოქტომბერი, ნეპალის დროით 17 საათი: ამერიკელი **დენი მაზური** ჯომოლუნგმას მწვერვალზე რამდენიმე ფოტოს იღებს. კადრში მისი მეწყვილე, 54 წლის **რომან გიუტაშვილია**. მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალიდან ქართველმაც გადმოიხედა! იმ დროისთვის გიუტაშვილი ევერესტზე ასული მეორე უხუცესი იყო 55 წლის ამერიკელი **რიჩარდ ბასის** შემდეგ (1985).

რომან გიუტაშვილი

„გამიმართლა, რომ რუსეთის 1991 წლის ექსპედიციაში მოვხვდი... იმ პერიოდში საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ სოლიდური ჯგუფი შეკრიბა, ანაპურნაზე გვინდოდა ასვლა, მაგრამ არეული პოლიტიკური ვითარების გამო, არ გაგვიშვეს. რუსებს ამის შემდეგ მივმართე, თუმცა მათ სხვაც ბევრი სთხოვდა და დიდი იმედი არ მქონია. მოგვიანებით, როცა პამირის ალპურ ბანაკებში ვვარჯიშობდი, ვლადიმერ ბალიბერდინის სანკტ-პეტერბურგის ექსპედიციის შემადგენლობაში ჩამრთეს და მეც მოსკოვში გავემგზავრე, იქიდან კი ლუკლაში ჩავედი“, – იხსენებს რომან გიუტაშვილი და დასძენს: – „ყველაზე რთული, რა თქმა უნდა, ბოლო მონაკვეთია, 8000 მეტრს ზევით. მე და მაზურს ღამის 2 საათზე გვინდოდა ბოლო ბანაკიდან გასვლა, მაგრამ ქარი ამოვარდა და ვერ შევძელით. გამთენიისას, 6 საათზე მზე ამოვიდა და მივხვდით, ეს ჩვენი უკანასკნელი შანსი იყო. ამ სიმაღ-

რომან გიუტაშვილის ევერესტზე ასვლა

ლეზე ორივე პირველად ვიყავით და ძალიან გაგვიჭირდა. დაახლოებით, შუადღის 3 საათზე, როცა მწვერვალამდე რამდენიმე ათეული მეტრი რჩებოდა, დენის არაქათი გამოელია. კარგა ხანს ვუჩიჩინე, მინდოდა, ორივე ერთად ავსულიყავით მწვერვალზე. ის 30 წლის იყო და ამის შანსი კიდევ ექნებოდა, მე კი ვხვდებოდი, რომ იქ ვეღარასდროს მოვხვდებოდი... ბოლოს, როგორც იქნა, დავიყოლიე და წამომყვა. 5 საათი იყო, როცა დროშა ავაფრიალე. დენიმ სამი კადრი გადაიღო და მერე ჩემი ფოტოაპარატიც გაიყინა“.

...თუ მთა გიყვარს და მწვერვალებისკენ გული მიგიწევს, შეუძლებელია, ერთ დღეს, სულ ერთი წამით მაინც არ დაფიქრდე ევერესტზე, რომელზეც ყველა ალპინისტი ოცნებობს.

რომან გიუტაშვილიც ოცნებობდა და, საბედნიეროდ, მან გულისწადილი აისრულა კიდეც. მაგრამ მანამდეც იყვნენ ჩინებული სპორტსმენები, რომლებმაც არაერთი დიდებული ასვლით დაგვამახსოვრეს თავი, თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ევერესტი არათუ ვერ დაიპყრეს, მასთან მიახლოებაც ვერ მოახერხეს.

1957 წელს, როცა ნეპალის მეფე **რაჰენდრა** საბჭოთა კავშირს ოფიციალური ვიზიტით ეწვია, სტუმარმა თბილისში, ვერის პარკში, რომელსაც მაშინ „კიროვის პარკი“ ერქვა, საქართველოს ალპური კლუბიც მოინახ-

ულა. მასპინძელთა მორიდებულ თხოვნაზე, ევერესტზე ვოცნებობთო, მეფემ სიტყვიერი თანხმობა იქვე გასცა, ერთი წლის შემდეგ კი თბილისში ოფიციალური მიწვევაც მოვიდა – საქართველოს ნაკრებს 1959 წელს საგარმატჰა გელითო.

ჯომოლუნგმაზე ასასვლელად უძლიერესი ქართველი მთამსვლელები ემზადებოდნენ: **ზურაბ** და **ლევან ახვლედიანები**, **ჯოკია გუგავა**, **თეიმურაზ კუხიანიძე**, **ჯუმბერ მეძმარიაშვილი**, **შოთა მირიანაშვილი**, **დიმიტრი ობოლაძე**, **რევაზ** და **ოთარ ხაზარაძეები**, **მიხეილ ხერგიანი**, **სოლიკო ხაბეიშვილი**... სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების ექსპედიცია ჩაიშალა: საბჭოეთის დედაქალაქში განაცხადეს, რომ ტიბეტში ძალიან გამწვავდა პოლიტიკური ვითარება (არადა, გუნდი ნეპალიდან აპირებდა ასვლას) და ასეთ დროს ექსპედიცია მიზანშეუწონელია. თავს ზევით ძალა არ იყო.

თითქმის მეოთხედი საუკუნის შემდეგ კიდევ ერთი საბჭოთა ექსპედიცია დაიგეგმა. 1980 წელს ნაკრებში მესტიელი **სერგო ბარლიანიც** მოხვდა, მაგრამ გამგზავრება ორი წლით გადაიდო, 1982 წელს კი ბარლიანი განახლებულ გუნდში ველარ შევიდა. საბჭოთა ნაკრებში ქართველი მაინც მოხვდა – თბილისელი **აკაკი**, იგივე **ხუტა ხერგიანი**. ის ჰიმალაელთა შეკრებებზე მუდამ საუკეთესოთა შორის იყო, ჩინებულად ჩააბარა გამოცდები მეკლდეურობაში, ყინულზე ცოცვასა თუ კოსმონავტის ბაროკამერაში, მაგრამ მეთაურმა **ევგენი ტამმა** ბოლო მომენტში მას მწვერვალზე ასვლის ნება მაინც არ დართო. ხერგიანი იმ ექსპედიციის კინოოპერატორი გახლდათ და მშვენიერი ფილმიც

გადაიღო, რომელიც დღეს მოსკოვში, ცენტრალური ტელევიზიის სახელმწიფო არქივში ინახება.

რომან გიუტაშვილის ისტორიული წარმატების შემდეგ ქართველები ჯომოლუნგმას ფერდებზე 1997 წელს გამოჩნდნენ: **გია თორთლაძე**, **ბენო ქაშაკაშვილი** და **ბიძინა გუჯაბიძე** სხვადასხვა ექსპედიციების შემადგენლობაში ცდილობდნენ ასვლას, მაგრამ ხელი მოეცარათ. ერთი წლის შემდეგ თორთლაძე რუსულ ექსპედიციასთან ერთად მიუბრუნდა „დედამიწის სახურავს“. სამწუხაროდ, კვლავ წარუმატებლად.

1999 წლის მაისში ქართველმა მთამსვლელებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს: 12 მაისს მწვერვალზე სამხრეთიდან ავიდნენ „მშვიდობიანი კავკასია 99-ის“ წევრები **აფი გიგანი**, **ბიძინა გუჯაბიძე**, **ლევ სარქისოვი** და ექსპედიციის ხელმძღვანელი **ბენო ქაშაკაშვილი**. 26 მაისს კი ჯომოლუნგმა ჩრდილოეთიდან დალაშქრეს მეორე ქართული გუნდის – „საქართველო 3000“-ის – წევრებმა **ირაკლი უგულავამ**, **მამუკა ციხისელმა** და **მერაბ ხაბაზმა**.

„მშვიდობიანი კავკასია 99“-ის ექსპედიციის წევრები

„12 მაისს ღამით, 3 საათზე გავედით ბანაკიდან. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, მაგრამ მაინც ვჩქარობდით. 2 საათის შემდეგ ისეთი ქარი ამოვარდა, ხილვადობა ჭირდა. დაახლოებით 8500 მეტრზე, ქედის ძირში გავჩერდით და ყინულში სანგრები ამოვთხარეთ... მერე აფი გიგანმა თქვა, თუ არ ვიმოძრავებთ, გავიყინებითო და ჩვენც დავიძარით... მალე მზე ამოვიდა, ქარიც შედარებით ჩადგა და შუადღისთვის უკვე ყველანი მწვერვალზე ვიყავით. ჩვენი სამფეროვანი დროშაც სწორედ მაშინ ავაფრიალეთ“, – იხსენებს ევერესტის დამლაშქრავი პირველი ქართული ექსპედიციის „მშვიდობიანი კავკასია 99-ის“ ხელმძღვანელი ბენო ქაშაკაშვილი. სხვათა შორის, მისი გუნდის გადაღებული ვიდეოფირი ნეპალშივე ნახეს ავტორიტეტული ჟურნალის National Geographic-ის წარმომადგენლებმა და მისი შეძენა მოისურვეს, რადგან სპეციალურად ამ საქმისთვის მოწყობილი თავიანთი ექსპედიციის მანამდე გადაღებული ფირი დაიწუნეს.

2001 წლის 22 მაისს მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე მეცხრე ქართველი ადის: საერთაშორისო ექსპედიციის წევრი გია თორთლაძე.



გია თორთლაძე

2003 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ბიძინა გუჯაბიძემ მეორედ, ამჯერად ჩრდილოეთიდან, დაიპყრო ევერესტი და გახდა პირველი ქართველი, ვინც ეს მოახერხა.

2013 წლის 26 მაისს ბიძინა გუჯაბიძის მეორე წარმატებიდან ზუსტად 10 წელი გავიდა, 29 მაისს კი ედმუნდ ჰილარის და თენსინგ ნორგეის გმირობის 60 წლის იუბილე იყო.

უშბის თეთრი ღამეები

ალპინისტის დღიურები, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ქართულ-ჰოლანდიური ექსპედიციის წევრის, ***გელა ოთარაშვილის*** *ნაამბობის მიხედვით დაიწერა. 2005 წლის ივლისში უშბის სამხრეთ მწვერვალის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე „მიშლიაევის მარშრუტის“ გავლისას ორი ქართველი მთამსვლელი –* ***მერაბ ხაბაზი*** *და* ***ზაალ ქიქოძე*** *– დაიღუპა.*

შორენა ლებანიძე

უშბა

12 ივლისი, სვანეთი

...ლურჯ სივრცეში უშბის შავი სილუეტი იკვეთება.

ალპური სარტყლისა და მთისწინეთის საზღვარზე ვართ. ტყე მეჩხერდება. ტანმაღალ ხეებს ჯუჯა მცენარეები და დაგვალული ბუჩქები ცვლის. ბოლოს ბუჩქებიც ქრება.

„მონადირეთა ღამისსათევზე“ მოხერხებულ საკარვე ადგილს ვეძებთ. ჰენრი, ოჯახითურთ, მაზერისკენ ეშვება. ჰანსი და რეი რჩებიან. სამივე ჰოლანდიელია.

ექსპედიცია შარშან, საქართველოში რეის ჩამოსვლისთანავე დაიგეგმა. ჰოლანდიელ სტუმარს ზალიკო ქიქოძე მასპინძლობდა, რაც პირველი შემთხვევა არ იყო.

...ზალიკომ ბოლო წლებში ტურისტების მეგზურობა აირჩია.

...ჟინვალის წყალსაცავის მახლობლად, ყინულის კედელზე ვცოცავდით, ბოტანიკურში ვვარჯიშობდით. ზალიკო, ასაკის მიუხედავად, ფორმაში იყო. ბოლოს რომ ვკითხე, უშბისთვის მზად თუ ხარ-მეთქი, ეს 58 წლის კაცი „ტურნიკზე“ ჩამოეკიდა და 14-15-ჯერ აიწია.

მერაბ ხაბაზისთვის მსგავსი შეკითხვა არ დამისვამს. მწვერვალის აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კალთებს კარგად იცნობს. „გაბრიელის“ ტრადიციულ გზაზეც უვლია და „მიშლიაევის“ არატრადიციულ ღარში გაძრომაც უცდია. წარმატებაც ჰქონია, წარუმატებლობაც.

ვერ ვიტყვი, მერაბის მსგავსად ორმწვერვალიანი მასივისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდეს ან ზალიკოსავით „მიშლიაევის ბუხარში“ გაძრომაზე ვოცნებობდე. გრანდიოზულობის შეგრძნება უშბისადმი გულგრილს არავის ტოვებს, მაგრამ ჩემთვის მთავარი ტექნიკური სიძნელეების გადალახვის სურვილი, წმინდა სპორტული აზარტია.

ზაალ ქიქოძე

„მიშლიაევის“ ღარის დამუშავება პირველად შარშანწინ, ოქტომბრის დამდეგს ვცადეთ.

წელს ჰოლანდიელებმა მეექვსე კატეგორიის მარშრუტის დასამუშავებლად საჭირო მთელი არსენალი მოიმარაგეს: ყინულის ჩაქუჩები და ნაირგვარი პალოები, „შლამბურები“, „ზაკლადკები“, რკინის კიბეები... კედლის ტექნიკურ სირთულეს 3700 მეტრის სიმაღლიდან ვერტიკალურად და ოდნავ დამრეცად გაჭრილი 250-მეტრიანი რელიეფური ღრმული ქმნის. ერთი შეხედვით, მწვერვალისკენ სწორხაზოვნად მიმავალი გამოკვეთილი და ლოგიკური გზაა. არც ორიენტაციის დაკარგვა გემუქრება, არც ტრავერსი გჭირდება, ვერსად გადაუხვევ.

ქედზე გადაადგილების შემდეგ „ბუხარს“ ფერდობებამდე აჰყვები და მეორე დღეს უშბის თავზე ხარ. ქედი და ფერდობები მარტივი ამბავია. აი, „ბუხარი“ კი...

ღამდება. კარვებს ვშლით და ვიძინებთ.

14 ივლისი



მერაბ ხაბაზი

ქედის ბოლოს, სვეტის ძირში ვართ. ჰანსი, რეი და მერაბი თოკებს კიდებენ.

რთული სამუშაოა. ღარი ზოგან ღრმად იჭრება კლდის გულში, ვიწროვდება, კუთხეს ქმნის. მერე ფორმას იცვლის, გლუვდება, ქიმები, შვერილები ქრება და გაბათქაშებულ კედელს ბზარსაც ვერ უპოვი. „შლიამბური“ უნდა გამოიყენო. ხუთმეტრიან მონაკვეთზე აცოცებულმა, კედელი დახვრიტო, პალო ჩაარჭო, ელიფსური რკინის კაუჭი – „კარაბინი“ – გამოსდო, შიგ თოკი გაატარო და დაბლა დარჩენილებს ჩასძახო: „პერილა“ მზად არის.“

წინ ჰანსი მიდის. რეი მიჰყვება. გზამკვლევები არიან. კავკასიონზე ადრე არასდროს ყოფილან. ლანდშაფტის თავისებურებები აინტერესებთ. დავთანხმდით. მეწინავეობა, განსაკუთრებით უცნობ მარშრუტზე, ყამირის ათვისებას ჰგავს, აზარტს ბადებს. ძნელი კია. გაუთვალისწინებელი საფრთხის მოლოდინი გძაბავს, ქანცის გაწყვეტამდე იღლები. მაღალი დონის პროფესიონალი უნდა იყო, შესაბამისი აღჭურვილობაც გქონდეს.

ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა.

15 ივლისი

დილაადრიან ვიწყებთ მოძრაობას – ჯერ ჰოლანდიელები, მერე მერაბი, ზალიკო და მე. უკვე გამზადებული სამი თოკი („პერილა“), ანუ 150 მეტრი, უნდა გავიაროთ,

დარჩენილი 100-მეტრიანი მონაკვეთი დავფაროთ და კლდოვან ფერდამდე („კრიშამდე”) ავაღწიოთ.

ღარი ნესტიანია. სადღაც ზემოდან წანწკარის ხმაც ისმის. შორიდანვე შესამჩნევი სისველე გვაფიქრებინებს, რომ ფერდიდან კედლის ვერტიკალზე ნადნობი ყინული მოწვეთავს. წლევანდელი ზამთრის უხვთოვლიანობამ, გაზაფხულის სუსხმა და ზაფხულის ხვატმა, 12 საათიდან გადმოწვერილმა მზემ შესაძლოა, ალპური ზონისთვის ნაკლებად დამახასიათებელი წყალვარდნილები წარმოშვას. ამიტომ აჩქარება ჯობს. არ გამოდის.

ოთხი თოკი გვაქვს. თითოეულზე მორიგეობით მივცოცავთ. დიდი დრო გვჭირდება. შუადღე ახლოვდება. 150-მეტრიანი მონაკვეთის ჩამოტოვების შემდეგ წანწკარის ნაცვლად თქრიალი ჩაგვესმის.

თითქოს კანტიკუნტი და თანდათან გახშირებული წვიმა მოდიოდეს, სახეზე, ხელებზე კედლიდან ანასხლეტი წვეთები, მერე შხეფები გვეცემა. ვერაფერს ვხედავთ. თოკი სველ ზედაპირს ეხახუნება, შვერილებს შორის მიძვრება და უცებ, ღმერთო დიდებულო, წყალში შედის... ნაჟური, ნაკადული კი არა, ფერდიდან, „ბუხრის“ ყელის გავლით, სვეტზე გადმოკიდებული ჩანჩქერია.

რა ვქნათ? ქედზე დასაშვები „პერილა“ არ გვაქვს. ე. ი. უკან ვერ გავბრუნდებით, ვერც ჰოლანდიელებს მივატოვებთ. თოკზე დაკიდებულები, ნესტიან და ვიწრო ღარში, სადაც კარვის გაშლა კი არა, ხეირიანად წელში გამართვაც არ ხერხდება, ღამეს ვერ გავათევთ. გზა უნდა განვაგრძოთ.

ზალიკო ზურგჩანთას ტოვებს. წინაურდება. მივყვები. სწრაფად, შეუფერხებლად ვმოძრაობთ.

ნადნობი ყინულის უხვი დინება მარწუხივით გვიჭერს. ერთიანად ვილუმპებით. ცოტაც და,

გელა ოთარაშვილი

„კრიშაზე“ ვართ. მერაბს ვერ ვხედავთ. ამოსვლას აგვიანებს. უცებ ყვირის: „მიშველეთ!“ ჩანჩქერის შუაგულში ჰკიდია და, სპაზმებისაგან ძალაწართმეული, გაშეშებული, დამოუკიდებლად გადაადგილებას ვერ ახერხებს.

– რეი! – ჰოლანდიელებს გასძახის ზალიკო.

რეი ბაქანზე ეშვება და „პოლისპასის“ (თოკებისაგან აწყობილი სამაშველო სისტემა) გამზადებაში გვეხმარება. გაქაფულები ვმუშაობთ.

ღარში დამხმარე თოკის ბოლოს ვუშვებთ. გადის ათი წუთი, ოცი, ნახევარი საათი. მერაბი ბაქანზე გადმოგვყავს. ცუდად არის, ძაგძაგებს. ცხელი წყალი გვჭირდება, მაგრამ სად არის? ზურგჩანთა, რომელშიც პრიმუსი მედო, თავქვეჩაკიდებული ხრამისკენ მიფრინავს.

ყველაზე მთავარი – სითბო და თავშესაფარი – არ გვაქვს.

ზურგჩანთების ამოსატანად „ბუხრის“ ყელში ჩაბრუნება გამორიცხულია, რადგან ამ გაწამაწიაში ქანცი გაგვიწყდა. დაბნელდა, წყლის ნაკადმაც ოდნავ შესამჩნევად იკლო – ხელახლა დასველება არ აგვცდება.

ჰოლანდიელების კარავი ათიოდე მეტრის სიმაღლეზეა გაშლილი. მერაბი დამოუკიდებლად ვერ მოძრაობს. ჩვენ მისი აყვანის ძალა აღარ გვაქვს. „ცივი და სველი ღამისთევა“ გველის.

16 ივლისი

თენდება. ჰანსი და რეი ზემოთ მიდიან, რომ „მაგთის“ დაფარვის ზონიდან მაშველს დაუკავშირდნენ. ზალიკოს ზურგჩანთა ამომაქვს. ღარი მშრალია.

დინება შუადღისას განახლდება, წვეთ-წვეთ ჩამონაჟონი წყარო ჩანჩქერად იქცევა, ღამე დაიწრიტება და დილის სუსხი გაყინავს.

კარავს ვშლი. მერაბი შეგვყავს. ხელებს ვუზელ. მკლავი გაშეშებული აქვს. აღარ სუნთქავს. ჯერაც თბილია.

– უნდა დავბრუნდეთ, – ვამბობ. – მაშველს ვერ დაველოდებით. კაცმა არ იცის, როდის მოვლენ.

– კარგი, – თავს მიქნევს ზალიკო. – დღესვე დავიძრათ, სანამ ხელ-ფეხი მემორჩილება. კარვიდან გამოსვლისას ჩერდება. ხმაამოუღებლად დაჰყურებს მერაბს. საუკეთესო მეგობრები იყვნენ.

– შენ რას გერჩი, თორემ აქედან ჩამსვლელი არ ვარ, – მეუბნება.

დაგვაგვიანდა. წყალი თქრიალით მოჩქეფს. ზალიკო ჩადის. დაახლოებით 35 მეტრის მოშორებით ჩერდება. თოკს მივყვები.

თვალებს არ ვუჯერებ. ღარიდან ამოვარდნილა და კედელზე, ჩანჩქერქვეშ, თავდაღმა კიდია. ყინულის ნატეხები და კლდის ნაშალი თუ მოხვდა, ან ძლიერმა ნაკადმა დააკარგვინა წონასწორობა... ტვირთს ვართმევ და „ჟუმარების“ ჩამოსატანად ვბრუნდები კარავში, რომ ზევით აცოცებაში დავეხმარო. 10-15 წუთში ვეშვები. ისევ თავქვე კიდია.

მაჯისცემა არ ისმინება.

განადგურებული, არაქათგამოცლილი მივცოცავ „ბუხრის“ ყელში.

ქედამდე ჩაღწევა არ მიფიქრია. „პერილა“ არ მაქვს. ზალიკოს ვერ გადავუჭრი. რომც მქონდეს, რა გამოქაჩავს? ენერგიის ხარჯვა არ ღირს. სჯობს, ადგილიდან ფეხმოუცვლელად მაშველს დაველოდო.

კარავს არ ვიყენებ. წელან შუაზე გადაგვეხა. მერაბისა და ზალიკოს ზურგჩანთებიდან საძილე ტომარასა და ვერცხლისფერი ქაღალდების პაკეტს ვიღებ.

საძილე ტომარა იშლება. საბანივით ვიფარებ. ქაღალდს მჭიდროდ ვიკრავ ტანზე. თოვლსა და ყინულს უხვად ვიმარაგებ, რომ სითხე არ მომაკლდეს. სისველე ნაკლებად მაწუხებს. დროდადრო ამიტანს კანკალი, გადამივლის. ხელ-ფეხი მიბუჟდება.

ძილ-ბურანში, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვარ. ძლიერი ემოციები მტოვებენ. სასოწარმკვეთი აღქმა, რომ მრისხანე, უკაცრიელ მთას მარტოდმარტო ვარ შერჩენილი, ქრება. არ ვიტანჯები. არ მტკივა. არ ვფიქრობ. მხოლოდ ველოდები.

18 ივლისი

ამინდი ფუჭდება.

თოვლის „სარკოფაგში“ ვწევარ. ყინულს ვკვნეტ. წვეტიანი, ბასრი საგანი მეცემა. ფერდობიდან ჩამომსხვრეული ლოლუაა. ვფხიზლდები. გუგუნი მესმის. ზემოთ ვიხედები.

მეჩვენება, თუ მართლა ვერტმფრენია? ხელს ვუქნევ. ვერ მიახლოვდება. ეგ არაფერი. რაც მთავარია, იციან, გვეძებენ. დღეს თუ ხვალ მოგვაგნებენ.

19 ივლისი

თოვლი ხრაშუნობს. მგონი, ვიღაც მოდის. ბუნდოვნად ვარჩევ სილუეტებს.

– ვინ ხარ? – მეკითხებიან. ვერ ვცნობ. თურმე, გიაა, აფაქიძე, ბიძინა გუჯაბიძე, აფი გიგანი, ნიკა ერქომაიშვილი.

20 ივლისი, თბილისი, ღუდუშაურის კლინიკა

აი, სასწაული! ფეხსაცმლიდან წყალი გადმოასხეს, კიდურებს კი თავისუფლად ვამოძრავებ. სამოსი სველია, მაგრამ ფილტვების ანთების კვალიც არ ჩანს. მხოლოდ წონა მაქვს აღსადგენი. ძვალი და ტყავი ვარ. გადასასხმელი სისტემები გამოფიტულ სხეულს მინერალებით მიმარაგებს.

სიცოცხლეს ვუბრუნდები და მომხდარის აღქმა-გააზრებას ვიწყებ. შორიდან „შევყურებ“ ყინულებში ჩარჩენილ გელა ოთარაშვილს და მართლა გულწრფელად მაოცებს მისი გადარჩენა. ხელახლა „გავდივარ“ საბედისწერო მარშრუტს, სადაც 20-30-იოდე მეტრის არეალში ტრაგედია დატრიალდა. დღეს უფრო ახლოს ვარ მეგობრების სიკვდილთან, ვიდრე მაშინ...

მაინც რა მოხდა, რისი აცილება შეგვეძლო, რა ვერ მოვახერხეთ, ან რამ გამაძლებინა: ფიზიკურმა მომზადებამ თუ შინაგანი რეზერვების დროულად და სრულად ამოქმედებამ?

არის კითხვები, რომლებზე პასუხის გაცემას მთელი ცხოვრება სჭირდება.